
TSIKOLIA

GEORGIA

User’s Manual

TSIKOLIA

GEORGIA



RONDA CaL. 1042


შესავალი

მოხარული ვართ, წარმოგიდგინოთ „ციკოლია“-ს მიერ წარმოებული მაჯის საათი, რომელიც დამზადებულია მაღალი სიზუსტის შვეიცარიული, კვარცის მექანიზმით RONDA cal.1042.
საათის დიზაინისა და შექმნის პროცესი მოიცავდა სრულ გზას, პირველი ესკიზიდან საბოლოო წარმოებამდე. მის დასამზადებლად გამოყენებულია უმაღლესი ხარისხის მასალები.
იმისთვის, რომ თქვენმა საათმა წლების განმავლობაში საიმედოდ და ზუსტად იმუშაოს, გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ სახელმძღვანელოს და დაიცვათ მასში მითითებული გამოყენებისა და მოვლის წესები.

საათის მოვლა


ისევე როგორც ნებისმიერი მაღალი სიზუსტის მექანიზმს, თქვენს საათსაც სჭირდება სათანადო მოვლა. იმისათვის, რომ საათმა საიმედოდ და გამართულად იმუშაოს, გთხოვთ, გაითვალისწინოთ შემდეგი რეკომენდაციები:
ჩვეულებრივი სპორტული აქტივობა, როგორც წესი, არ ახდენს გავლენას საათის მუშაობაზე. თუმცა ძლიერმა დარტყმამ შესაძლოა დააზიანოს მექანიზმი; გავლენა მოახდინოს საათის გამართულ მუშაობაზე და ასევე დაზიანდეს მისი ვიზუალი; მოარიდეთ თქვენი საათი მაგნიტური ველის ზემოქმედების ადგილებს; არ გამოიყენოთ საათი საუნაში ან სოლარიუმში. მაღალი ტემპერატურა და ტენიანობის მკვეთრი ცვლილება შესაძლოა უარყოფითად აისახოს საათის მექანიზმსა და სხვა კომპონენტებზე; მოარიდეთ საათი სპირტის შემცველ და სხვა ნებისმიერ ქიმიურ ნივთიერებებს. ასევე განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო PVD-ით დაფერილი (ოქროსფერი) ზედაპირების შემთხვევაში, რადგან გარკვეულმა ნივთიერებებმა შესაძლოა გამოიწვიოს ფერის ცვლილება.

“ რონდა ”




კალიბრი 1042

ფუნქციები



დროისა და თარიღის კორექტირება




დროისა და თარიღის კორექტირება

შენიშვნა!

* საათის სწორად გასასწორებლად დაიცავით 24-საათიანი ციკლი.

* არ დაატრიალოთ მოსამართი ძალდატანებით, თუ უჩვეულო წინააღმდეგობას გრძნობთ.

გაფრთხილება!



დარწმუნდით, რომ კორექტირების დასრულების შემდეგ
გვირგვინი ბოლომდე არის დაკეტილი.

აღნიშნული მაჩვენებელი არ წარმოადგენს ჩაძირვის კონკრეტულ სიღრმეს.
თქვენი საათის წყალგამძლეობის მაჩვენებელი ამოტვიფრულია საათის უკანა ხუფზე.
30 მეტრი / 3 ATM / 3 BAR / 100 ფუტი - განკუთვნილია წყალთან შემთხვევითი, მცირე რაოდენობით შეხებისთვის. წყალში ჩასვლა რეკომენდებული არ არის.
50 მეტრი / 5 ATM / 5 BAR / 165 ფუტი - შესაძლებელია წყალთან შეხება, თუმცა ცურვა რეკომენდებული არ არის.
100 მეტრი / 10 ATM / 10 BAR / 330 ფუტი - შესაძლებელია ცურვა და წყალში ჩვეულებრივი აქტივობა.
200 მეტრი / 20 ATM / 20 BAR / 660 ფუტი - შესაძლებელია სამოყვარულო ყვინთვა.
300 მეტრი / 30 ATM / 30 BAR / 1000 ფუტი - განკუთვნილია ღრმა ჩაძირვისა და მაღალი წნევის პირობებში გამოყენებისთვის.
რეკომენდაცია: ექსპლუატაციის პირობებში რეკომენდებულია წყალგამძლეობის პერიოდული შემოწმება.

გარანტია

შეძენის დღიდან თქვენს საათზე ვრცელდება 2-წლიანი საგარანტიო მომსახურება.
საათის ნორმალური გამოყენებისა და სახელმძღვანელოში მითითებული წესების დაცვის შემთხვევაში, გარანტია ვრცელდება მექანიზმზე და მოიცავს საწარმოო დეფექტით გამოწვეული გაუმართაობის დიაგნოსტიკას, შეკეთებას ან, საჭიროების შემთხვევაში, მექანიზმის შეცვლას.
„ციკოლია“ იტოვებს უფლებას, ტექნიკური შეფასების საფუძველზე განსაზღვროს საგარანტიო შემთხვევის აღმოფხვრის შესაბამისი ფორმა.

ელემენტი

ელემენტის ამოწურვის შემთხვევაში გთხოვთ, მიმართოთ „ციკოლია“-ს სერვისცენტრს.


საათის შეძენის დღიდან ელემენტზე ვრცელდება 1-წლიანი უფასო საგარანტიო მომსახურება.

ელემენტის შეცვლისას მოწმდება საათის კორპუსის ჰერმეტულობა და შესაბამისი დამცავი ელემენტების მდგომარეობა.

გთხოვთ, არ სცადოთ ელემენტის დამოუკიდებლად შეცვლა. არასწორმა ჩარევამ შესაძლოა დააზიანოს საათი ან დაარღვიოს მისი წყალგამძლეობა.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ საგარანტიო მომსახურება არ მოიცავს: საათის კორპუსის, მინისა და სამაჯურის ბუნებრივ ცვეთას; არასწორი მოპყრობით, მექანიკური ზემოქმედებით, დაუდევრობით ან უბედური შემთხვევით გამოწვეულ დაზიანებას; საათის ნორმალური ექსპლუატაციის შედეგად გამოწვეულ ბუნებრივ ცვეთას; არაავტორიზებული პირის ან მომსახურების მიმწოდებლის მიერ განხორციელებული შეკეთების ან ტექნიკური ჩარევის, მათ შორის ელემენტის შეცვლის შედეგად წარმოშობილ დაზიანებას. საათის ნებისმიერი გაუმართაობის ან დაზიანების შემთხვევაში, გთხოვთ, მიმართოთ „ციკოლია“-ს ავტორიზებულ გამავრცელებელს. თითოეული შემთხვევა ექვემდებარება ტექნიკურ შეფასებას და შესაბამისი მომსახურების საკითხი განისაზღვრება შეფასების შედეგების საფუძველზე. წინამდებარე საგარანტიო პირობები არ ზღუდავს საქართველოს კანონმდებლობით მომხმარებლისთვის მინიჭებულ უფლებებს.

“RONDA”



Calibre 1042

Introduction

We are delighted to present a wristwatch manufactured by TSIKOLIA, featuring a high-precision Swiss quartz movement, RONDA Cal. 1042.


The design and development of this timepiece encompassed every stage, from the initial sketch to final production. The watch is crafted using the highest-quality materials.

To ensure your watch continues to perform reliably and accurately for years to come, please read this manual carefully and follow the instructions for its proper use and care.


Watch Care

Like any precision instrument, your watch requires proper care. To help ensure reliable performance and accurate timekeeping, please follow these recommendations:

Normal sporting activities generally do not affect the operation of your watch. However, a strong impact may damage the movement, impair its proper functioning or affect the watch's appearance.
Keep your watch away from strong magnetic fields.
Do not wear your watch in a sauna or solarium. High temperatures and sudden changes in humidity may adversely affect the movement and other components.
Avoid contact with alcohol-based products and other chemicals. Particular care should be taken with PVD-coated, gold-coloured surfaces, as certain substances may cause discolouration.


Hour hand
Minute hand
12
9
3
I
II
Crown (positions I, II)

Time and Date Adjustment




Time and Date Adjustment

Important!

* When setting the time, observe the 24-hour cycle.

* Do not force the crown if you feel unusual resistance.

Warning!



Make sure the crown is fully pushed in after completing the adjustment.

Water Resistance

The indicated rating does not represent a specific diving depth.
Your watch's water resistance rating is engraved on the case back.

30 metres / 3 ATM / 3 BAR / 100 feet - Suitable for occasional, minor contact with water. Immersion in water is not recommended.
50 metres / 5 ATM / 5 BAR / 165 feet - Contact with water is possible, but swimming is not recommended.
100 metres / 10 ATM / 10 BAR / 330 feet - Suitable for swimming and normal water activities.
200 metres / 20 ATM / 20 BAR / 660 feet - Suitable for recreational diving.
300 metres / 30 ATM / 30 BAR / 1,000 feet - Designed for deep diving and use under high-pressure conditions.

Recommendation: Periodic water resistance testing is recommended under normal conditions of use.

Warranty

Your watch is covered by a 2-year warranty from the date of purchase.

Under normal conditions of use and provided the instructions in the user manual are followed, the warranty covers the movement and includes the diagnosis and repair of malfunctions caused by manufacturing defects or, where necessary, replacement of the movement.
TSIKOLIA reserves the right to determine the appropriate remedy for a warranty claim based on a technical assessment.

Battery

If the battery runs out, please contact a TSIKOLIA service centre.

The battery is covered by a 1-year free warranty from the date of purchase.

When the battery is replaced, the water resistance of the watch case and the condition of the relevant sealing components are checked.
Please do not attempt to replace the battery yourself. Improper handling may damage the watch or compromise its water resistance.

Please note that the warranty does not cover:
Natural wear of the watch case, crystal and strap; damage caused by improper handling, mechanical impact, negligence or accidents; natural wear resulting from normal use of the watch; damage resulting from repairs or technical intervention carried out by an unauthorised person or service provider, including battery replacement. In the event of any malfunction or damage to the watch, please contact an authorised TSIKOLIA distributor.
Each case is subject to technical assessment, and the appropriate service solution will be determined based on the assessment results.
These warranty terms do not limit the rights granted to consumers under Georgian law.



WWW.TSIKOLIA.COM

Copyright © Uniq ltd.
All Rights Reserved